



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიაციის
აგენტი



პრესრელიზი

დაუყოვნებელი გავრცელებისთვის 10 მაისი, 2010

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს

ტელ: 409 477; 409 377 pr@info.ge info@gpb.ge

მობ: 877-417 996; 877-107 738

დღეს, 10 მაისს, 16 საათზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააქტო დარბაზში (III სართული) მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია გამართავს ბრიფინგს

ბრიფინგის თემა: 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს თბილისში

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაგეგმილი ეგზიტპოლი, რომელსაც საერთაშორისო კვლევების ევროპული ლიდერი GfK (www.gfk.com) თბილისში პირველად განახორციელებს. კონტრაქტის ღირებულება 86 000 აშშ დოლარს შეადგენს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საარჩევნო ეგზიტპოლს უკვე მესამედ უკვეთავს. ამ მიმართულებით მაუწყებელი ხელმძღვანელობს საზოგადოების ინტერესით.

1. რატომ ეგზიტპოლი? - საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდია, რომელსაც იყენებენ წამყვან დასავლურ ქვეყნებში, რათა დააკმაყოფილონ მოსახლეობის ინტერესი არჩევნების შედეგის მიმართ, სანამ გამოცხადდება ოფიციალური შედეგები. ეგზიტპოლი ავსებს ინფორმაციულ ვაკუუმს უზნების დახურვიდან ოფიციალურ წინასწარ შედეგებამდე. საქართველოს შემთხვევაში ეს პერიოდი 24-30 საათს შეადგენს.
2. რატომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“? - ეგზიტპოლების შედეგები ქვეყნდება მაუწყებლების მეშვეობით. ამიტომ მთელ მსოფლიოში სწორედ მაუწყებლები არიან ამ კვლევის დამკვეთები. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ არის კომერციულად

მომგებიანი პროექტი, კერძო არხები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან ამ ძვირად ღირებული კვლევის ჩატარებას. გამომდინარე საზოგადოებრივი ინტერესიდან, სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლები იღებენ დამკვეთის როლს მსოფლიოს მასშტაბით. მაგ. BBC, ავსტრიის საზოგადოებრივი მაუწყებელი.

3. რატომ GFK?- ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი კვლევით ბაზარზე. აქვს დიდი გამოცდილება პოლიტიკური კვლევების, მათ შორის ეგზიტპოლების ჩატარების მსოფლიო მასშტაბით. ამავე დროს ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ კომერციულ მაუწყებლებთან.
4. რატომ თბილისი? - პირველად ტარდება მერის პირდაპირი არჩევნები და ზოგადად, სწორედ თბილისისკენ არის განსაკუთრებული ყურადღება.
5. მეთოდოლოგია - გამოკითხვა ჩატარდება თბილისის 50 საარჩევნო უბანზე. გამოკითხება 30 000 რესპოდენტი, რაც იძლევა 3%-მდე მაქსიმალურ ცდომილებას.
6. ამომრჩევლის დასწრებასთან დაკავშირებული მონაცემები გადაიცემა არჩევნების დღეს 12:00, 17:00 და 20:00 საათზე. წინასწარი შედეგები მოსახლეობას 20 საათზე, ხოლო საბოლოო შედეგები მაყურებელს 21 საათზე ეცნობება.

კომპანია GFK დაარსდა 1934 წელს გერმანიაში და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია გერმანული ეკონომიკური რეფორმების „მამად“ მიჩნეული ლუდვიგ ერჰარდტი. 1960 წლიდან კომპანიამ დაიწყო საერთაშორისო ბაზრების ათვისება და დღეს მისი ფილიალები და განყოფილებები მოქმედებს მსოფლიოს 6 რეგიონის 100-მდე ქვეყანაში.

GFK აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებლებთან. კერძოდ, BBC ბრიტანეთში, ZDF და ARD გერმანიაში, ავსტრიის, უნგრეთის და შვეიცარიის საზოგადოებრივ მაუწყებლებთან.

GFK კლიენტები არიან: Agfa, Kodak, Sony, Panasonic, Toshiba, Pioneer, TDK, მანქანათმშენებლობის წამყვანი ფირმები.

GFK-ს მყარად უკავია მსოფლიოში მეოთხე ადგილი კვლევით ბაზარზე

| | კომპანია |
|---|--------------------------|
| 1 | The Nielsen Company, USA |
| 2 | IMS Health, USA |
| 3 | Taylor Nelson Sofres, UK |
| 4 | GFK Group, Germany |
| 5 | Kantar Group, UK |
| 6 | Ipsos, France |
| 7 | Synovate, UK |
| 8 | IRI, USA |

| | |
|----|---------------|
| 9 | Westat, USA |
| 10 | Arbitron, USA |

GFK აქტიურად მუშაობს პოლიტიკური კვლევების კუთხითაც. მისი ცალკეული ოფისები მუშაობენ წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან ავსტრიაში, გერმანიაში, პოლონეთში. აღსანიშნავია კომპანია **GFK UK Entertainment Ltd., London, UK** თანამშრომლობა BBC-სთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს, როგორც წინასაარჩევნო კვლევებს ისე ეგზიტპოლების ჩატარებას. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ კომპანიამ BBC-ის დაკვეთით განახორციელა 6 მაისს ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნების ეგზიტპოლი, რომლის შედეგებია:

| | პარტია | ეგზიტპოლის შედეგი (მანდატების რაოდენობა პარლამენტში) | საბოლოო შედეგი (მანდატების რაოდენობა პარლამენტში) |
|---|---------------------|--|---|
| 1 | კონსერვატორები | 307 | 307 |
| 2 | ლეიბორისტები | 255 | 258 |
| 3 | ლიბერალ-დემოკრატები | 59 | 57 |
| 4 | სხვა | 29 | 28 |

კომპანია საქართველოში ამ მიმართულებით პირველად მუშაობს.